ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №1031183

ნომერი: AR1179164

თარიღი : 21.11.2013

გაცემის თარიღი : 06.12.2013

გაცნობის თარიღი : 12.12.2013

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , გლდანი-დიღომის შემაერთებელ მაგისტრალზე, (ნაკვეთი N29/42) ; ქალაქი თბილისი , ქუჩა შეშელიძის , N 6 ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ვაჟა აგაშენაშვილი პ/ნ 01026005650
- თბილისი პ.ასლანიდის ქ. N 5

ნომენკლატურა :

- მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობები
- მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში ცვლილება

ქ. თბილისის მერიის სსიპ – თბილისის არქიტექურის სამსახურის 11.11.2013 წ. #978742 გადაწყვეტილებით დამტკიცებული მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში ცვლილებისა და დამატების შეტანის თაობაზე

მოქალაქემ ვაჟა აგაშენაშვილმა 21.11.2013 წ. #AR1179164 განცხადებით მომართა სამსახურს და მოითხოვა სამსახურის 11.11.2013 წ. #978742 გადაწყვეტილებით დამტკიცებული მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში ცვლილების შეტანა კერძოდ, ახალი საპროექტო ობიექტის დაფიქსირება.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96-ე მუხლის თანახმად, სამსახურმა გამოიკვლია საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ ქ. თბილისის მერიის სსიპ – თბილისის არქიტექურის სამსახურის მიერ 11.11.2013 წ. ქ. თბილისში, გლდანი-დიღომის შემაერთებელ მაგისტრალზე, (ნაკვეთი N29/42) ; ქალაქი თბილისი , ქუჩა შეშელიძის , N 6-ში არსებულ მიწის ნაკვეთებზე (საკად. კოდი: #01.

11.04.029.065, 01.11.04.029.042) ბენზინისა და ავტოგაზგასამართი სადგურის რეკონსტრუქციის მიზნით დამტკიცებული იქნა #978742 მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობები.

განმცხადებელი ითხოვს სამსახურის11.11.2013 წ. #978742 გადაწყვეტილებით დამტკიცებული მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში ცვლილების შეტანას საპროექტო ობიექტის ფუნქციის შეცვლასთან დაკავშირებით, კერძოდ: ავტოგაზგასამართი სადგურის დაფიქსირება.

სამსახურის 11.11.2013 წ. #978742 გადაწყვეტილებით დამტკიცებული მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობები გაცემულია – საზოგადოებრივ–საქმიანი ზონა 2 (სსზ–2)–ის პარამეტრებით და პირობებით. დღევანდელი მდგომარეობით საპროექტო მიწის ნაკვეთზე ვრცელდება იგივე ფუნქციური ზონა და ქ. თბილისის მერის განკარგულებით აღნიშნულ ტერიტორიაზე გაიცა სპეციალური ზონალური ნებართვა ბენზინისა და ავტოგაზგასამართი სადგურის რეკონსტრუქციის მიზნით, შესაბამისად, საპროექტო მიწის ნაკვეთზე შესაძლებელია განმცხადებლების მიერ მოთხოვნილი ფუნქციის დაფიქსირება.

"მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების თანახმად, მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში უნდა აისახოს კანონმდებლობით განსაზღვრული ის სავალდებულო მოთხოვნები, რომლებიც აუცილებელია მშენებლობის განხორციელების დოკუმენტების პროექტების შემუშავებისათვის.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის თანახმად, ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტში ცვლილების ან დამატების შეტანის უფლება აქვს მის გამომცემ ადმინისტრაციულ ორგანოს.

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, სამსახურმა მიზანშეწონილად ჩათვალა, შეიტანოს ცვლილება 11.11.2013 წ. #978742 გადაწყვეტილებით დამტკიცებული სამშენებლოდ მიწის ნაკვეთის გამოყენების პირობებში ახალი საპროექტო ობიექტის დაფიქსირებასთან დაკავშირებით.

"მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57-ე დადგენილების და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის შესაბამისად

ვბრძანებ

1. შევიდეს ცვლილება ქ. თბილისის მერიის სსიპ – თბილისის არქიტექტურის სამსახურის 11.11.2013 წ. #978742 გადაწყვეტილებით დამტკიცებული მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში, კერძოდ: საპროექტო ობიექტის დასახელებაში დაფიქსირდეს: ავტოგაზგასამართი;
2. წინამდებარე ბრძანება განხილული იქნას ქ. თბილისის მერიის სსიპ – თბილისის არქიტექტურის სამსახურის 11.11.2013 წ. #978742 გადაწყვეტილებით დამტკიცებული მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებთან ერთად.

• გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მერიაში (მისამართი - ქალაქი თბილისი, ჟ. შარტავას ქ. #7), დაინტერესებულ მხარეთათვის ოფიციალური წესით გაცნობიდან ან გამოქვეყნებიდან ერთი თვის ვადაში.